

პოლიკარპე კაკაბაძე



ლირიკული დრამა
საეხილად

მომხმედი პირნი:

ღ ა ა

ნ ე ე

მ ვ ვ

ჯ ა ჯ ო ს ხ მ

ნაწილი პირველი

კოშკი ჯღაბურ მოკბში, ხანთარია, ბუარში დეივას ცეცხლი. ბუარის წინ ზის სამი ვრთისხეთხე მშენიერი ასულა: დია, თეო და ევა. სამივე ნატყლს ჩეჩავს. დროგანოშეგებით ასულები ერთმანეთს გადახედავენ. შეორე: ოთახიდან მოისნის მობოცი ქალის „ნანინა“.

ღ ი ა — შებინდებიდან უმღერის იმ ბაეშეს დედაბერი ნანინას...
მაგრამ ვერ დააძინა.

თ ე ო — ო, თავის ხმით ძილს უფრთხობს.

ე ვ ა — ნეტავ მე ნიმღეროდეს ჯაჯო.

ღ ი ა — ისე დაილაღე, რომ მის ხმაზეც დაგეძინება?..

ე ვ ა — ჯერ შეილაშე იქნება?

ღ ი ა — არა, ამდენი მატყლია კიდევ.

ე ვ ა — მოვიტახტე ამდენი მუწაობით.

თ ე ო — ო, ლანდებს დავემაგავსეთ და შაინც გვირისხლება ჯაჯო.

ღ ი ა — ჯაჯო ნკაცრია.

ე ვ ა — უმოწყალოა, საშინელი.
(ღუმილია).

ღ ი ა — ნე გზა რომ ვიცოდე ადამე გავიქცეოდი.

ე ვ ა — არც ერთი არ დაერჩებოდით, ტოლებო, მაგრამ გვეშინია ნადირი არ შეგვეფეთოს გზაზე.

თ ე ო — ან ღრჯულა მწვალელებმა არ დავვიკვირონ.

(ხანგრძლივი ღუმილია. ვიღაც კარზე დაარტყამს. ასულები შემკრთალ მტრელებივით ასწევენ თავს და დააყურობენ).

ღ ი ა — ეს ქარია.

(განავრძობენ ჩეჩას. ვიღაც კიდევ დაარტყამს კარზე, ასულები დააყურობენ).

ე ვ ა — ეს ქარია!..

ღ ი ა — მთ.

(ღუმილია. ისევ გახმის რახუნნი).

თ ე ო — ქარია.

ღ ი ა — ისევ.

ე ვ ა — ა?

(განავრძობენ ნატყლს ჩეჩას. უცნობი ორჯჯო დაარტყამს კარზე, ასულები შემკრთალნი აწევენ თავს).

ჯ ა ჯ ო ს ხ მ — (მაღლა ოთახიდან) ვინ არის?

ე ვ ა — ჩვენ ქარი გვეგონა და...

დი ა ჩვენ გვეგონა ჭაოი ურტყამდა კარზე-
თეო — მაგრამ, როგორც ვატყობთ ვილაცა...

ევა — გვეწინია, ჯერ გავუღებთ.

ჯაჯოს ხმა — სწა გაკმინდეთ. სწა არ ანოიოთ. წე ავალ
მალლა და ჯიტანოლან გაღვიფრდაფ. თუ ბაეწვია, მავიღებ,
თუ ჭაოია, ნიინც მავიღებ, მაგრამ...

ევა — არა, სხვაგვარმა ხელმა დაარტყა.

ჯაჯოს ხმა — სწა ჩააწვტიტყო, თორენ თაყდაღმა გაღვიფრდებთ
ამ კოშქიდან!..

(ასულედა თავა ჩაქინდრავენ. ისმის მალლა მიმავალ ჯაჯოს ფხვის ხმა. ბანგ-
რალივი ფტნაღია. ასულედა უცქერებიან ერთმანეთს და წელა იღობხიანს).

ევა — ვინ იცის, ვინ არის!..

დი ა — ამ სიციცეში, ავდარში და სიბნელეში, რამ მოიყვანა ის
ვინც არის!..

თეო — ეს ადგილი უდაბურია. შორეულ მთებიდან მხოლოდ
ერთი ნადირთა გაკვალული ბილიკია აქეთ წამომყვანი და
ისიც თოვლშია დამალული.

დი ა — შენ, ევა, მრავალნაირ ნიშანს ხსნი. ჩიტის ჭიკჭიკს გვიასარგ-
მნი... და, ვერაფერს გვეტყვი ახლა?

ევა — თქვენ ზრძენები ხართ, მე კი მხოლოდ ნხურვალე.
(ღუმლია, ისევ გაისმის კარზე ზელის დარტყმა, ასულედა წეკრებიან და
ერთმანეთს ჩააღვებენ ხელს).

თეო — დია!..

დი ა — გაემხგრდეთა. ნე ნოაწვინთ.

თეო — ჰო, კავმხნეცდესა.

ევა — ვინ იცის (წეხრდება) ეგებ ის მეფის მშვენიერი ვაჟია, მთე-
ლი სამეფო შემოიარა მამ, მაგრამ ეგობად ეერ ბოვა სატრფო
და, ბოლოს, მოვიდა აქ თავის ბედის მისაღებად. (თბი-
ლი სიცილით). ეგებ ის ჩენთვის მოუყვანია ბედს... და ამ
შამთრის გრივალში, დამით მომღვარა ჩემს კარზე, ურტყამს
ხელს და ჩქარობს წამიყვანოს თავის სასახლეში, ჩამაცვას
ძვირფასი ქსოვილები და დამსვას დედოფლად. იციოთ, ტო-
ლებო, რა კეთილი ეიქნები მაშინ! (უზრბებს სიცილი. იცინიან წელა).

თეო — შენ რა გაფიქრებს დია?

დი ა — მე მყავდა ძმა — უებროა მეომარი. ის ჯვაროსნებს გაყვა
ურჯულთობისგან იერუსალიმის გასათავისუფლებლად და
მას აქეთ არ დაბრუნებულა... მოხუცი დედ-მამა დამეზოცა
და დავრჩი მარტო... შემხვდა ჯაჯო, ცბაერი ენით შტმა-

მიტყუა ავ, როგორც თქვენ, და ნაწუშაგებს... და წურბელა-
სავით მწოვს ჯანს...

თეო — ო, სადა ვართ!

ევა — რა ენა იტყვის!

დი ა — მაგრამ, ვინ იცის, ეგებ ჩემი ძმა დღეს დაბრუნდა შორეულ
ქვეყნიდან და მოიტანა დიდი განძი... მაგრამ ცარიელი
და მკვდარი დახვდა უზო... (ნაღვლიანი ღიმილით) მან გაიგო,
რომ ცოცხალი ვარ. მთელი სამეფო შემოიარა ჩემს ძებნაში
და, ბოლოს, აქეთ გამოუღვა და ახლა ამ კართან დგას ჩემი
გადაკარგული ძმა და ურტყამს ხელს, რომ გამათავისუფლოს,
მიზიაროს უციო ქვეყნიდან მოტანილი საფხვე და შემყაროს
(თღწევი გაიხეზულად) საყვარელ ბედს.

ევა — ეს კარგი ნატვრაა.

თეო — ნატვრის მეტი რა დავგრჩა.

დი ა — მას აქეთ, რაც სოფელს მოგვაშორეს, ჩვენი ცხოვრება
ოცნებაა.

(ღუმლია).

ჯაჯოს ხმა — (ღმთ ოთახიდან) ის საშიშარია. კარი არ გაუღოთ,
თორემ ვაი თქვენი ბრალი... ტუის ბერი გაჯავლიძე და ცულის
ვალესინებ, — ის ათასწლოვან მუხას აქცევს, და ნუთუ მომხ-
დურს ვერ დაჩხვანეს! ხმა არ ამოიღოთ, ჭალებო, თორემ
ვაი თქვენი ბრალი!... ამ ყინვა-ქარში გაგაშიშვლებდა და
ძებნეზივით გადაგვიღებთ მალად კოშქიდან. ვესმით, რეტიატ
ვიქი... კარი არ გააღოთ, თორემ ფრთხილად ეწეება... ფრთხი-
ლად ეიძინებ...

(ასულენი დახრთან თავს და მუშაობენ. ბანგალივი ღუმლია. ის ვილაცა
დაარტყამა კარზე. სამივე ასული ასწებს თავს. ღუმლია).

ევა — ის ლესავეს რკინას?

დი ა — (ღება და დააყურებს, ყურს მიადებს ჯიტანოზე) არა, არა,
დაიძინეა, ბერისცა მომემა. (ისევ ჯღვბა მათთან).

თეო — ეა კარგია.

დი ა — დავმშვიდდეთ, ტოლებო.

(მხიარულად ჩეჩვენ. უკანობი მიდართთ დაარტყამს კარს. ასულედა ასწევენ
თავს და დაფიქრებნიან).

თეო — ვინ იცის... ეგებ ის ქრისტე-მაცხოვარია გლახაკის ხანით
მოსული და გვცდის ჩვენს... და ელოდება: გაუღებთ ამ ყინ-
ვა-ქარში კარს და ნივილებთ დავრდომილს და მოვევლით,
თუ არა... ამ შუილანით მოვიდა ის ჩარნი და გვთხოვს ბი-
ნას... და თვითონ მოაქვს უფრო ბედნიერი ბინა... მეგობრე-

ზო. ასეთ ღამეში ხშირად დადის ქრისტე და, მომხდარა, როდესაც ვაჟულიათ ჯღახაკისათვის, შენოსულა ღმერთი და კედლები გაბრწყინებულა!.. (ღიას) მაგრამ, ეგებ ის შენი ძმია არა, დია, და მოსულა რომგაგათაფისუფლოს და გიზიაროს უცხოეთიდან მოტანილი საუჯაჲ.

(დუმილია. ისინი იწყებენ წრომას. მხოლოდ დროვამოშვებით ასწევენ თავს და შეხედვენ ერთმანეთს. კარზე ისევ დაარტყამა. ასულები შეკრთებთან და იყურებან კარისაკენ).

ევა — ვინ იქნება!.. თუ არა ის?

დია — (თელს) ვინ იცის. ეგებ გულმა გაიზრა შენ, და იქ, ნართლა, ქრისტე-მაცხოვარი და შესაუფრ ხედრის დასარიგებლად მოვიდა ჩვენს კართან ამ ბნელში და ქარ-სიცავენი! (დუმილია. ისინი იწყებენ წრომას. ისევ გაისმის შმა. ასულები ასწევენ თავს და ნაღვლიანად იქირობიან კარისაკენ).

ევა — გზინვა მომესმა...

დია — მეც...

თეო — საბრალო...

(დუმილია).

დია — ამ უდაბურ ადგილას რამდენი წელიწადია ვართ ჩვენ და არაფერი მოსულა.

ევა — და რამ ზოიყვანა ასეთ ქარში და გრივალში ვინც არის? (დუმილია. ოდნავ იამის ძრწოლა, ასულები ღონდებიან).

დია — ვინც უნდა იყოს: მწუხარება.

თეო — ის რომ სახლში შემოვა, — კედლები გაბრწყინდება. შენ ხომ, დია, ერთხელ შეგვაძლებინე აქედან ამბავი შეგვეთვალა!..

დია — ბაზიერი დავიჭირეთ და ძვირფას ეგვრებით ვცანიოთ, რომ შეფისა იყო. შემდეგ ბარათი გაცოცებით და გავუშვიოთ.

ევა — ის, ან გაუბრინდებოდა სასახლეში, ან, თუ ვინმე დაიბერდა, იქ მიიყვანდა.

დია — ალბათ, ასე მოხდა.

ევა — მე ავწერე თქვენი ნანდვილი წმინდანობა.

თეო — შე და დიამ კი დაეწერეთ, რომ შენ უბადლო მზისუნახავი ხარ.

ევა — წერე, რატომ გგონიათ, რომ მეფის ძე არ წაიციოთხავდა... არ დაიწყებდა ჩემს ძებნას და არ დგას ამ კართან?

დია — მე წლობით ვუცდიდი, როდის დაბრუნდებოდა ჩენი საბრალო ძმა... შევეჩვიე მის ლოდინს და ახლაც მისთვის მგონია, რომ ისაა... შორეულ ქვეყნიდან როცა ჩამოვა ჩემი, რომ ისაა... უსათუოდ მომისახავს... ის უბადლო მოლაშქრეა და არ დაერიდება სუსხიან ქარს და უდაბურებას ადგილებისას.

(დუმილია. დია და თეო მუშაობენ).

თეო — რან ჩაგაფიქრა თავდაუწყებლად, ევა?

ევა — შეშვიდე ღანვა მესიზმრება, თითქო ამ კართან ბენიერება მოდის... რა აშინებს გულს!..

დია — ო, ასეთ მწარე ბედში ჩვენთვის საშინი რა იქნება!..

თეო — მართალია...

ევა — აქ უნდა დავლიოთ სიცოცხლეს ჯათანი და წამებაში... დავკენებით და რას ნოვავონებო!

თეო — არაფერს. ახლ მოგვიადება გახსენება.

დია — მოგვედებით და გულგრილად დავგმობხავენ. არავინ იტყვის თუ ვცხოვრობდით... ჩვენს საფლავებზე ლურჯი თყვამოვლენ, ნეგობრებო, მაგრამ მუხჯი იქნება ია.

(დუმილია. დია და თეო მუშაობენ. ევა დაიწყებს წრომას. ნელა ასწევენ თავს, შეხედვენ ერთმანეთს და ვანაგრძობენ წრომას. უცნობი კოფე დაარტყამს კარზე).

თეო — ის არის!..

ევა — თითები!..

დია — ?

(ცოტა დუმილია. გაისმის რაბენი და მერე ვინვა).

ევა — ის სწუხს.

თეო — მგინიანებს...

დია — ჰო...

(დუმილია. ისინი დადონებით ვანაგრძობენ ჩრჩხ. ეცნობი ისევ დაარტყამს. ძრწოლა).

თეო — ასე მგონია, ჩემს გულში ურტყამს ხელს და უცდის, თუ გაიღება.

ევა — მე შეძახის ბენიერება: მიმიღე, თორემ არასოდეს... მისი თვალები ცასავით წმინდაა, მის ტუჩებში დიდი დაპირებაა... მაგრამ გულში ჯოჯოხეთია, ვინაიდან არ იღება წყევლი კარი!..

(დუმილია).

თეო — (ღიას) შენ ქვითინებ?... რატომ?

დია — ძრწოლის ხმა გავიგონე და ჩენი ძმის ხმავე ვიცანი.

(ხუმარ ტირის. დუმილია. ისინი იწყებენ მუშაობას).

თეო — ჩვეა ვთქვათ რამე... ზღაპარი...

დია — ვერ ვიტყვი...

თეო — ვერც მე...

დია — (თელს) შენ იტყვი?

თეო — ვერა.

ევა — ვინ იტყვის ზღაპარს?

თეო — (დას) შენ ისეთი ზღაპარი გიყვარს, რომელიც სიკვდილით არ თავდება...

ევა — ნე რომ პირველი ადამიანი გყოფილიყავი, ევა რომ გყოფილიყავი, სიკვდილს არ მივიღებდი...

დია — ღმერთმა ცოდვისთვის მოუტლინა.

ევა — შევთხოვდი... დავიბოქებდი მის წინაშე, ავბრწოდებოდი... მიფელი გულის!

დია — ის მაინც არ შეგიწყენარებდა.

ევა — რათა... ხომ კეთილია?

თეო — ის, ვინც კარებთანია, განა არ ვთხოვს? არ ძრწის? (უცნობი ჰემინავს).

თეო — ახ...

დია — გესმით?

თეო — ო...

ევა — როგორ ჰგვინავს!..

თეო — (სხვათაგანს თონით) შევებრალეთ, გავულოთ კარი?

დია — კარი?

ევა — როგორ...

თეო — ქვეყანაზე ძლიერ ბევრია გაქირვებული. ისინა სულს ჰლევენ წამებაში.

ევა — გავალოთ...

(ღუმილია. ისინი იწყებენ ჩერას).

დია — მე სიკვდილის არ მეშინია.

თეო — არც მე.

ევა — არც მე...

დია — არც ჯიჯლის გვეშინია.

თეო — არა, პუშკა, ახშინებლბაა...

(გარეთ აეკრის ქმეალია).

ევა — სულია მონღევი აყდარია!

დია — და ეს ზამთრის ღამეც დაუსრულებელია.

თეო — და შრომაც მძიმეა.

(ღუმილია. ბუშობენ).

დია — ეს კარგი მატყელია.

(უცნობი სწებს და ზელს დარტყანს).

სამივე ახული — (ცალ-ცალკე) აჰ!..

(მწობარეთ შეჩერდებიან. უცნობი კადვე ურტყანს. წუხს).

თეო — (გამოცვლილი ხმით) თქვენ გაფითრდით...

ევა — (თვინ) შენი საბეც თეთრი მატყელივითაა.

თეო — რატომ ინება ამაღამ განოვეცადე...

დია — სანავე ასულება კეთილენი ვართ... და ამ ზამთრის დიღამდე რომ ურტყას ანე ზელი, სამივეს გულა დაილევა.

ევა — რატომ... ჩვენ გავალბთ კარს... გავალბთ კარს, კიდევ რომ წევდეთ, რა უნდა ნოგვაკლოს? ჩვენ ისე უბედურები ვართ...

დია — მართალია, თუ ვცდებით და ის უბრალო გლახაკია, ვონკით მოსილი. მაინც ხადლია... ნე გაეკატან წერილს, რანელსაც ევეყანაზე შემოატარებს...

თეო — კარგად აზრობ — მადლია... უაჩლიც რომ იყოს... თავშესაფარი ექნება ტყის წიაღში, შავრამ ჩვენ არ წავევებით... მაშინ ზელს აიღებს ყაჩაღობაზე.

დია — ჰო...

(უცნობი დარტყამს კარზე. უიმედო ძრწოლა მოისმის. ევა შევრთება, დია და თეო მწუხარებით დაბრიათ თავს).

ევა — (მღუღკაზე) ის ჩენია!.. ჩემია! თქვენც მოდით კარებთან... არ ირზევით? ქვებად გადაიქეცით?

დია — (აღვება) ჩვენ უნდა მოვიკრიბოთ ძალია... დავფიქრდეთ... მე მაგონდება ველად ქეველი ეზო, სადაც ერთ დროს ვარდები ჰევაოდს და ჩემი ძმა თაიგულს ჰკრავდა სტუმრებისათვის...

ევა — (წუხარედ) მაშ, გავალოთ?

დია — ის თუ იმედდაკარგული მოშორდა კარს, უბედურები შევიქნებით...

თეო — არა... ეს კარი გაიღება... მიფელი სიცოცხლის სევდამ დამიშინა გული, შავრამ ძალია გაიღვიძა ამ ზმებში... ეს კარი ფართოდ გაიღება... (შეჩერდება) გლახაკის სახით, ანოწოლებულ და შეწუხებული შემოვა აქ მაცხოვარი და ნიაზე უფრო ნაზი ხმით დამიწყებს ლაპარაკს... მე თავს დავბრი... ჩვენ, სანივე, იებოვით დავბრით თავს... ბუხარა დაუთხოვთ... მისი თვალები ვარსკვლავებზე დაიწყებენ ბრწყინვას. ქვათინით დავიბოქებთ ჩვენ, სამივე ასულები, ქვათინს დავიწყებთ... რალაც ლხენა იქნება ჩვენს ტირილში... და მას ნაცხოყარს, მოაგონდება თავისი ანგელოსები, რომლებიც ჩვენსავით არ ჰლონდებიან, არამედ თავისუფლად ლაპარაკობენ მისთან გეცაში. მაცხოვარი წამიერ თვალს გადაავლებს მწუხროს ჩვენი სიცოცხლისას და თავის ლეთიურ ბუნებაში მიიღებს ჩვენს მწუხარებას... (შეჩერდება) ჩვენ ვიქნებით ბედნიერები... შერე, თუნდაც, ამ ციხის ბნელ კედლებში დალიოს ჩვენი სიცოცხლე, ათ წლით იქროლონ შენოდგომის და ზამთრის ქარებმა ჩვენს კარებთან!..

(ღუმილია).

დი ა — ჰო... ის ქვითინებს ჩვენს ლაპარაკში... კარი დახურულა...

ევა — ეს არაფერია. განა ისე ძნელი საგნია? ნახევარი სიცოცხლეა, სულ ამ კარს არ ვაღებ! და ახლა, როცა ჩემი სიცოცხლე უნდა შეიცვალოს, ხელი გამიშვებდებან?..

დი ა — მეუც ხომ ათასჯერ გამიღია.

თეო — (მიდის კარებისკენ) ნე მივდივარ... თქვენ ახლა შორდებით ეკლესიას და ტყვეს...

დი ა — (კართან). რა მშვენიერია სიკეთე!

ევა — (მოუთმენლად). გაეალოთ...

თეო — ჰო... დამეხმარეთ...

(შეგვლდებიან კარებთან).

დი ა — დროსე...

ევა — ა?

(დუმობა).

თეო — როგორი გრიგალია გარეთ...

ევა — მისი გმინვა არ ისმის?

დი ა — არა, ის ქარია... ჰკივიან გაცეებულ ტყვეებში...

თეო — და პატარა ნდინარეები ყინულად არიან ჩანკვლარნი მიწაში...

ევა — ჰო...

დი ა — რა სიბნელეა... ისეთი სიშინელი სიბნელეა, იქ...

ევა — (გადაბრით) გაეალოთ!

თეო — ასე!..

(დაეწადება კარს გასაღებად. ცოცხალი დუმობა. კარზე ისმის რაბუნა. ასულემა უკან იხვეწენ).

თეო — გთხოვს...

დი ა — ძალა სრულიად შემომეღია.

თეო — ამ რაბუნაში, რაღაც უცნაურია... ა... არა?

ევა — ჩვენ პატარა ძალასაც ვერ ვბოულობთ... მძინარეებს ვგავართ...

დი ა — განა ჩვენ ძილნი გვესმის ის ხმა?..

თეო — და რასაც ჩვენ ვფიქრობთ, სიზმარია?

ევა — მთელი ჩვენი სიცოცხლეც სიზმარია?..

თეო — მეგობრებო... ჩვენ შეგვშლის ეს ღამე... (აღერსით მოეხვევა ვეას) ფიქრით შეგვშლის!..

დი ა — დაუგდეთ ყური!..

თეო — ა!

დი ა — ის ძრწოდა...

ევა — საშინლად!..

თეო — ეს ადვილი გასაღებია!..

დი ა — ჰო...

(მიდის კართან).

ევა — მეგობრებო... შეძრება ეს კლიტე!.. მაგრამ თქვენ, იარივემ ეს რაზი... აი...

(სამიჯნო შეგვედებიან. გარედან მოისმის წელი ძრწოლა. შეკრთებიან).

დი ა — (სულელდარე ხმათ) გაეალოთ?

ევა — ჰო...

(ისინი უმწოდ ვერძანებიან ურთიანეს. დუმობა).

დი ა — (მიდის და ჯდება ციციხლის პირად) მე მკლავები მომწყდა... (ევა და თეო მიდიან ბუჩართან).

ევა — (გაფრთხილებს). სიცივე?..

დი ა — ჩვენ ვერასდროს ვერ გაეაღებთ... ძნელია...

(სხდებიან ციციხის პირად. მოისმის ძრწოლა. ხამივენი ფალონებულად დახრიან თავს. ევა ზემად აქვითინდება).

ნაწილი მორაბი

იხივე სურათი. ევა და დია სხედან ბუხართან. თეო ფეხზე დგას მალობლად.

თ ე ო — (ხელუბის მტერებით) გძინაუთ?..

ე ვ ა — (გაღვიძებული მინთხუდავს) ის მშვენიერია, თეო!..

თ ე ო — ვინ?

ე ვ ა — აქ შემოვიდა... ხელეები უბნულივით გაუცვივდა და სახე გაფუთრდა... ვაკოცე ბაგენი — სუნთქვა შეწყვეტა, მკვდარს დაენსაგავსა... დავემევე ქვითინათ მის წინაშე. მაგრამ ის წითელ ვარდებში თეთრი ეარდივით გაფურცელდა და ისე მშვენიერი იყო, რომ ჩემს შეტე ვერავინ ვერ ტირიდა.

თ ე ო — (დია) შენ გესმის ამის ლაპარაკი?

დ ი ა — ჩაჩინებია.

(ეოტა დუმილია).

თ ე ო — მეგობრებო... მე ვიცი ვინც არის... როდესაც თქვენ თელეენდით, დაბესიხმრა, თითქო კარი გაიღო... შემოვიდა თეთრად შენოსილი, მაღალი მაცხოვარი... მაშინ ეს კედლები გაქრნენ... ოთხ კუთხეში გაჩნდნენ ალვის ხეები და ზედ შეფრახდნენ თეთრი...

(ეცნობი დაარტყამს კარზე ხელს. საწიგნი შეკრთებან).

დ ი ა — ჩემი სახელია მის ქვითინში... და მის ხელეში...!

თ ე ო — ა!.. (აყვრებს).

ე ვ ა — (კარბისაკენ, შეცვლილად) ახლა ვხედავ ვინცა ხარ... ნაბატეი, დავიგვიანე... ეს მოხდა იმიტომ, რომ უბედური, ყველაფერზე უფრო ვაუბრდევად ბედნიერებისაკენ გადადგამს ხაბიჯს... (მიდის კარისაკენ) ეს კარი ახლა გაიღება... სიბნელიდან მოხვალ, სინათლე, ჩამხედავ დიქრით მოქანცულ თელეენში და არ ნკითხავ რატომ დავიგვიანე...

დ ი ა — ჩემს შეტე არავინ არის შენი მოგონების გამგები... ყველანი გაქრნენ... ვაკელურებული, ეზო-გარემომ ვერ გიკნო... და პატიმარ დასთან მოდი... მაგრამ შე დიდხანს ვერ მოვერთე შიშს... მაბატეი ნახევარ ღამის მწუხარება.

ე ვ ა — ყველა სინარულით შეგხედება.

(ევა და დია მიდიან კართან).

თ ე ო — (კარისაკენ) ბევრ სამივე ასულს დილას გვლიან სახრით ვეაღვიძებენ და შუალანმდე მუქარით გვანუშავენ... ელოცულობდით და ვსასოგბდით, რომ წენამდე მოაღწევდა ჩენი დრტეინვა. ახლა კარს ეალეზო... მაგრამ ზოგი დიდი ტაძარიც არ გაღებულა ქვევანახე ასეთ დად ასწაულისაოვის, როგორც ჩენი ეოშის კარი... (ვაბეებული მიდის კართან, შეხედავს ანახეებს) გისაროდეთ... ის ამ კარს ნიავით დააწეზინებს ჩერჩულს... ნახავთ დეთიურ თელეებს...

ე ვ ა — (აკადება ხელს რაზას ა...)

თ ე ო — (მოკიდებს ხელს კლიტა. ძლიერ ელაფენ) ვერ რაში ამოიღე... აი... (ეზიარება ევას).

ე ვ ა — სს!..

დ ი ა — ვინაა? (დუმილია).

თ ე ო — გადასწივთ ეს გასალები... და მერე რაში...

ე ვ ა — (თეო) ასე...

დ ი ა — როგორ ვაგიწეწდათ ხელი!

თ ე ო — (ევას) ისე ვაფიორდი, თვალის კაკლებიც კი გაგილურჯდა.

დ ი ა — (დაყვრებს) იქ...!

ე ვ ა — რა ვესწის?..

დ ი ა — (ხელა ჩამოადებს ხელს ევას) სიბნელეა. ზენს სიზმარზე უფრო შავია...

ე ვ ა — ა?

თ ე ო — შრიალებს...

(სინი შეცნეველად უამელოვ შორებება კარებს).

ე ვ ა — რა?

(დია მიდის ბუხართან და აფივებს ცეხლს. დუმილია. ევა და თეოც მიდიან ცეხლის პირად).

დ ი ა — რა უბედურიც არ იყოს სიცოცხლე, ტოლებო, მასზე საშინელი სიზმარი მაინც იხილვება.

ე ვ ა — ეს ღამეც შავი სიზმარივითაა.

თ ე ო — (დაყვრებს) ეს რა ისმის?

დ ი ა — შრიალია... ქალისთვის რაღაც რისხეა ან შრიალში...

ე ვ ა — ჰო...

(ეოტა დუმილია).

დ ი ა — ძრწის და მოითხოვს შევლას!..

(ეოტა დუმილია).

თ ე ო — არის სხვა ძალა მის თხოვნაში.

დ ი ა — ხმა ნაცნობია.

თ ე ო — მძინე განსაცდელში მე მივმართავდი (ხელს ააშერს მაღლა)

აქ... ის მხსნიდა ტვირთს და სახეზე ისეთი ღინილი მეფე-
ნებოდა, როდესაც იმ ღინილით შეგხედავდით თქვენ: გრძნობ-
დით, რომ მე ცაწი ვყოფილვარ... ახლა ის თვითონ მო-
ვიდა ჩემთან... თვალწითლანელ სიბნელეში, ქარში, მოვიდა
და დაიწყო ქვითინი... მაგრამ მე არ ვაფუღე კარი... (ვაწუშდება).
ღია — (თვს) ის თუ მაცხოვარია წინდაწინ იცის ყველაფერი...
სხვები უკეთესი შეილებაა ღვთის? მაგრამ ის უფალი არაა;
ხმაზე ვცხობ ვიაც არის. (კარებისკენ) ნუ დამაჩენ გულზე
სამუდამო წყლულს, ნუ გამოიჯავრდები, მაპატიე. (ადგება)
შენ ზღუდეებზე გიბრძოლია მტერთან, მიუდგომელი ციხე-
ბი აგილია, და რააეს კარი, ეს საცოდავი კარი... (ღუმილია).
თეო — ღუმილია... ატყობთ?..
ევა — ღუმილია...
ღია — (აყურებს) ჰო...
ევა — რათა?
თეო — (მწარედ) ნუთუ ერთი წუთის შეცდომა წლებს საწმინდეს
ფასს უკარგავს! (კარისკენ) მაპატიე, თუ ეს საუფედურია, მაგ-
რან შენ ჰხედავ, — ნთელი ჩემი ქალიშვილური ფიქრები გა-
მოყამვლავს შენს წინაშე ლოცვებში... და ამ სახეს იცნობ,
რადგან მუდამ ცისკენ აპყრობილია... და რად უნდა ჩამავლო,
კეთილო, ისეთ განსაცდელში, სადაც ყველაფერი დამეკარ-
გება და ჩემი თვალეები სამუდამოდ დაიხურება ბუხრის წინ...
(მღელვარედ) თვითონ ბარ ღნერთი და ბრძანებით შევიძლია
ჩვენს ხელში სალამური გააჩინო და კარები გახსნა.
ღია — იქ არაფერი ისმის.
ევა — რატომ?
თეო — ა?
(ღუმილია).
ევა — (კარებისკენ) ყოველი ხელის დალაღება მაგ კარზე, მე შეეძ-
ხის... მე კი ვერაფერი შევძელ... სუსტი ვარ... ნმენიფორი კი
ვარ... როდესაც მე წეშისთვის მივდივარ ტყეში, ყვავილები
ფერად თვალეებს არ მაშორებენ და, როდესაც ტყიდან ვბრუნ-
დები, ისინი სიზმრებში ნომეყვებიან... კეთილიცა ვარ... ჩემს
სარჩოს ფრინველებს ვუხიდავ... ისინი ტყეებში ჩემ სიყვა-
რულზე და ბედზე ჭიკჭიკობენ... მე მათ ჭიკჭიკვს სულ საკე-
თილოდ ვხსნიდი და ახლა უნდა ახდეს... თუ მე სუსტი ვარ,
შენ — ძლიერი... ჩამახვევ გულში და წამიყვან სასახლეში... იქ
გეყოლება ათი დარაჯი, რომ ჯაჯომ არ შემოადგას ფეხი... შე
მოვიგონებ ჩემს წარსულს და სხვა ტანჯვა არ გვექნება...

მაშ, დაარტყი, დაამტვრიე, თვითონ დაამტვრიე ეს კარი!..
ჯაჯოს ხმა — (მთისმის წყარე ოთახიდან, ასულეში შეერთებანი, ღუმილია).
თეო — ჯაჯო...
ღია — ჰო...
ჯაჯოს ხმა — გესწით!
ღია — ჩვენ ვკლვიდავს...
ჯაჯოს ხმა — კარი ხომ არ გაგიღიათ?
ღია — არა?
თეო — ის ურტყამდა, მაგრამ არ გავეღია.
ჯაჯოს ხმა — დიდხანს ურტყამდა?
ღია — ო, ხელს იმტვრევდა...
ევა — (ხელა) ქვითინებდა...
ჯაჯოს ხმა — ეხლაც ურტყამს?
სამიყვე ასული — არა!
ჯაჯოს ხმა — მე აგალ და გადავხედავ... ეგებ დიღამდე არ
შორდება კარს... ვინ იცის რა უნდა! თუ კიდევ კართან
დგას, ჯოხს ვესტრი აქედან... მღუღარესაც ვადიფსხამ...
თქვენ ხომ არ ამოგიღიათ ზმა?!
სამიყვე ასული — არა... არა...
ჯაჯოს ხმა — აწი დაწვეით. არაფერზე არ იფიქროთ და მა-
ლე დაგვიხედავთ, თორემ დიღას, ხომ იცით, რა სახრეს
გადივიტვრათ!.. (ასულეში შეუხედავანი). მე აგალ და გადავი-
ხედავ.
(ღუმილია, ისმის მღღა მამაკალ ჯაჯოს ფეხის ხმა).
ღია — საოცარი ამბავი მოხდება ახლა!..
თეო — სასწაული...
ევა — ა?
(ღუმილია).
ღია — ეს ციხე დაამტვრევა...
ევა — ჰო...
ღია — და შენდევ ეგებ ლბინი ვნახოთ... მწუხარებას ჩვენ აღვი-
ლად ვიყოფდით ერთმანეთში, მაგრამ ლბინი არ ვიცი... რო-
გორი გასაყოფია...
თეო — ლბინი ძნელი გასაყოფია, მხოლოდ ლოცვაა ქვეყანაზე
გასაყოფი — პატარა ტაძარში დიდი ხალხი კეთილია.
ევა — (მზარულად, თითქმის სიცილით) ჩვენ კადეც ვლბარაკობთ-
საცოცხლებზე!
(ისმის უკან მომავალ ჯაჯოს ფეხის ხმა).
ღია — (აყურებს) ა?

თ ე რ — ჯაჯო.

ე ვ ა — მოდის...

(ღუმელით)

თ ე რ — ის აქეთ მოდის?

დ ი ა — შეიძლება ჩვენთან მოდის... იტყვის ვინ არის...

ე ვ ა — ის თავის ბელით ვაიდებს კარს...

თ ე რ — აბა პირველად დავინახავთ მის ცრემლებს...

დ ი ა — თქვენ მერცხლებივით ატაკებენით...

ე ვ ა — მე ღუმელით შვებულავ...

თ ე რ — საიდუმლო სტუმარი ნელა გაგვიძვლავნებს თვის ვინაობას...

ჯ ა ჯ ო ს ხ მ ა — ის არ ჰანს... თქვენ მოისვენეთ. დილას ვნახე ნასანარევს და თუ კიდევ გამკლარხართ, ავტარებთ!.. ანაღ თვალი მიდევით, ვარჯთ ისეთი ქარია!, ამდენ ხანს რომ კარებში გაჩერებულყო, ქარი დაასრჩობდა. ის წასულა!..

(ღუმელით, ასულები გაშვებულნიან)

თ ე რ — (ყრუად) წასული!..

ნაწილი მისამი

იგივე სურათი. ასულები თავხარდაცემულნი გაშვებულან. მოისმის ჯაჯოს ხმის გაძახილი: „ის წასულა“. ცოტა დეშილია.

ე ვ ა — (რადაცას ჩასჩურჩულებს დიას).

დ ი ა — (შვირბევი და მიყვარდნობა ბუბარს). წასულა...

თ ე რ — ცოდვა, ცოდვა!..

ე ვ ა — რატომ არ გავაღეთ!

დ ი ა — სიგიჟე!..

თ ე რ — (ხელების მტვრევით) შე ვიცი ის ვინ იყო!

დ ი ა — მე ვიძახებ ბნელში მის სახელს, გაველ... მთელი გულით ამოვიძახებ ბნელში... მის სახელს, ეგემ მობრუნდეს.

ე ვ ა — (შეშფოთებით) რატომ არ გავაღეთ დროზე!

დ ი ა — ნუთუ ისე ძნელი იყო!

თ ე რ — ჩვენა სულის საბურავი შეიქნა ეს კარი!

ე ვ ა — კუბო!.. (სცემს კარზე).

დ ი ა — ეს კარები... ახ!..

(ისინი შემოღობით ეცემიან კარს, ვერ ამჩნევენ, რომელი მათგანი რაა ადრეს. კარი იღება საგრძობ ხელბით, ისინი გრეხებივით იღვრებენ ყელს და შემკრთილად იცქირებიან ბნელში, ათიდანაც შემოიჭრება ქარის ზეზენი და წიკილი, ასულები ერთხანს ოდნავ განკალებენ და სდუმან, მოუსყურად იცქირებიან ბნელში, ბოლოს რადაცას ანბობენ, მაგრამ კარის ღრიალში იკარგება მათი სიტყვები).

დ ი ა — შენ ამბობ, რომ... იქ!..

თ ე რ — წავიდა ამ ქარში... თეთრი... მაცხოვარი...

ე ვ ა — (რადაცას ანბობს).

დ ი ა — წავიდა ამ ქარში.

თ ე რ — ნაგრან... გამიგონეთ...

ე ვ ა — (გრძობით) (როგორც სიცივეს) აქ!

თ ე რ — მე ვგრძნობ მისეველ ფეხებს...

დ ი ა — ჩვენ რამ წავიდეთ იქ... უუ, ზსაზღვრის სიბნელე!..

თ ე რ — ჩვენ წავიდეთ... ცოტაზე გადავიარათ...

ე ვ ა — (მიდის წინ) აა!..

(იცქირებიან სიბნელეში).

დ ი ა — საკუთარ ხელებს ვერ ვხედავთ...

თეო — და ჩვენი ხმა სამ ნაბიჯზე არ ისმას...
(ცოტა დუმილია).
ევა — (რალაცას ამბობს ახლევებულად).
დია — რა?
ევა — ცეცხლი გამოვიტანოთ!
თეო — ცეცხლი...
ევა — კვარები ავანთოთ!..
დია — ცეცხლს ავავიანებთ კოჭიდან სამი ასული.
თეო — ეს ქარი კიდევ უფრო გააღვივებს...
დია — გამოვჩნდებით შორიდან!..
ევა — (მხარულად) ცეცხლი!..
(დია შემოდის ოთახში და ბუჩქიდან შაქვს ცეცხლი, შემოდის თეო, კუასნიდან აიღებს კვარებს, რალაც სასოებით აანთებს, შიტიანს და დაუროვებს ამბანაჯებს, სამივე გადადგამს ნაბიჯს, ევა წინაა, სულიერი განწყობილება იხრებოდა სიბრძნისკენ, მაგრამ უცბად შეტრთებინ და შეჩერდებოდა).
ევა — (გონს მოსულივით გადმოიხრება უკან და შესახება) ეს ვინ არის!
დია — (შეშინებული ხმით) ვილაცა!
(შეუკუფდებიან ცეცხლმოკიდებულ კვარებს ასწივენი მალა და იქით იცქირებიან).
დია — კაცია!..
თეო — კაცია...
ევა — (გაუბედავად) ეინა ხარ?...
დია — (გრძობით) მას არ ესმის...
თეო — (დიას) შენ კანკალეა!
ევა — ვინ არის...
თეო — ამ ქარში და ბნელში დაწოლილა უძრავად...
დია — (ოთახისკენ) შევიდეთ...
თეო — მიეტოვოთ... მაგრამ ეს დიდხანს იდგა ჩვენს კარებთან...
და ჩვენ რას არ ვფიქრობდით!..
დია — (გამკრიახად დააცქირდება იქით) ჰო... ეგებ... (რალაცას ამბობს).
თეო — რა თქვი?
დია — (ემახის) ვინ ხარ?
(დუმილია).
თეო — ის ქვასაგით წვეს... ქარი საშინლად ურტყამს... (მიუბრუნდება) ეინა ხარ?
(დუმილია).
ევა — ეინა ხარ?
თეო — ძლიერ ღრმად სძინავს,

ევა — ჩვენ მივითანოთ ეს ცეცხლი და ახლოს დავხედოთ...
უფრო... ძლიერ ახლო...
თეო — ჩემად მივიდეთ და ცეცხლი დავუტოვოთ ახლო, რომ გათბეს. (ასწივენი მალა კვარებს).
დია — ძლიერ დასძინებია...
ევა — ჰო...
(სამივე მიდიან გაუბედავად, ფრთხილად უყურებენ, თანდათან უფრო ახლო იხრებიან).
სამივე ასული — (ნურნულით) უცნაური...
ევა — მშვიდია... (დანათებენ უფრო გაუბედავად).
თეო — ვაჟკაცია... მაგრამ...
დია — მძინარე...
ევა — მშვიდია, როგორც თეთრი ქვა ნწვანე მინდორზე...
თეო — შისი სახე ჰგავს ლოცვით მოქანცულს...
დია — ეს სუსტია... ეს ჩვენზე სუსტია... ან წმინდანია...
ევა — ჰხედავ რა თმა აქვს და წარბები?! რალაც ღიმილი აქვს სახეზე. ასეთი ღიმილი არ მინახავს... მე წინდა სულ ეუცქირა!
დია — (აღვივდება) ძრწოლა... დაიღალა.
ევა — (ხრწებით) ეს დიდხანს ძრწოლა!
თეო — გაყინულია.
ევა — შენ! ხმას ვერ იღებ? (შეჩრახება) თუ გინდა ამოიღე ხმა. მე აწი შენი არ მეშინია... სული შეგეკმა?
თეო — ხელით რომ მივეკარო სახეზე, მაშინვე გააღებ თვალებს...
ევა — (ცოტა დუმილით) გააღე თვალები!..
დია — არ ესმის.
ევა — რატომ! არ ესმის? (დანათებენ) რა კარგია!..
დია — ა!
ევა — (შეწება თითებით სახეზე) კვიცია...
დია და თეო — (ფრთხილად შეაბებენ ხელს სახეზე) კეთილია...
ევა — (თმაზე მიუღვრებს ხელს).
დია და თეო — (კიდევ შეაბებენ ხელს).
თეო — გაყინულია...
ევა — (უფრო თამაზად და ღიანივით ადგის ხელს სახეზე, ასულვით ხანაუბენ ცეცხლს) სული შეგეკმა? გააღე თვალი!
დია — (ძლიერ წინააღმდეგობა რალაცა).
თეო — რა ლამაზია... რა წმინდია.
ევა — შევიყვანოთ... აქ გაკვივდება...
თეო — მოსულიერდება და გვეტყვის დიდ მადლობას...

ევა ზღის მოხვევს, გზარგობან. თანდათან უფრო გაბედულად მიჰყავს და წყნარად დგენს ბურხის მახლობლად. დია მტრადს კარებს. აკვირდებიან უცხეს).

- დია — (დააყურებს) ჯაჯოს კი სძინავს...
ევა — (გარტყბულად დაიწრება უცნობთან და ვუბნა).
დია — (ცვალებს ადვილებს) ოპ, რა სითბოა!
ევა — (ზრუნვით, უცხოეს) გამიგონე!..
დია — რად გაგვიწყრება მოქანცული მგზავრის!
თეო — შევიძელით... აი, გვეშინოდა, მაგრამ...
დია — ლაშაში, ვერცხლის იარაღი აქვს... (აკვირდება).
ევა — (ვალდებუბა, ძლიერ ახლოს დახრის სახესთან სახეს, დუმილია, ღონდება).
დია — (ცუქრის უცხოეს) ეს როგორია!..
თეო — ნუ შეწინია... ვაკვირდები...
დია — რაღაც...
თეო — (ახულებს) ეს შეშოსალია აბრეშუმით და ოქროს ქსოვილებით... მაცხოვარი კი გლახაკის სახით მოდის ქვეყანაზე... ეს თვალდახუჭულია და უმიძრაო... მაცხოვარი კი ფაბრიკად უცქერის ყოველ სიტყვას და მოქმედებას და მიაღია თვალგზებში ცის ადვრსია. როდესაც გაახელს ეს ვაჭი თვალს — შეაძლება მზე და მთვარეს შეეადაროთ... მაგრამ ეს მაცხოვარი არაა!..
დია — ძლიერ ნაზი სახისაა ეს და ხუჭუჭი თმი აქვს... ჩემი ძმის სახე სულ სხვანაირია. როდესაც გამობრუნდება ეს და ფეხზე წამოდგება, ბევრად გამოიცივლება... მაგრამ ჩემი ძმა ეს მაინც არაა.
ევა — (ნახთან ზის, ეფერება, რთვარც მერცხალი თავის ბარტყს, რაღაც ხრუტვით ჩახუჭვრის). ეს... ჩემია!..
თეო — (დაას) საოცარ სახეს იღებს...
დია — რამდენად ვაკვირდები, იმდენად თვალს მტკენს. (დუმილია).
ევა — (მოულოდნელად ტანჯვით ეადვრება და ელაპარაკება მიმჭრალი ძმით). მოსულიერდი... თორემ მე დავიღუბე... დიდხანს გიცდიდი... შენს ლოდინში ვეადვრებოდი მე ჩიტებს და ევაფილებს.
დია — მე მგონია მართალს ვუბნება...
თეო — დალონებულა... და თვითონაც ფიქრდება იმ ვაჭივით.
ევა — (მგრანობიარად დააცქერდება და ნაღულიან ხმას ამოიღებს ეულიდან).
დია — (აღუბს კვარს და მერ სინათლეს დააცქერდება უცნობს. სეუდათ აუფოს) შენ ვინახავს მკედარი?
თეო — არა...

- დია — მე მგონია, რომ...
თეო — ა? (აცქერდება ვაჭს).
ევა — (ძლიერ შეწყუბუღლია).
დია — (წამოდ) ის მკედარია...
თეო — ა? (აცქერდება დიას, შენდვს ვაჭს).
დია — მკედარია...
ევა — (ზრუნვით) შეშოს მოვატან კიდევ და დიდ ცეცხლს გაფაჩაღებ... მცდე დაეწვები შენთან ჩემი სითბოს გაღმოსაცემად... მაშინ მაინც ამოიღე ხმა, თორემ დავიღუბე... ჩემი გულს მკედარ ბეჭელასავით დაიფერფლებია...
თეო — (იცქირება მიცვალებულისაგან) საბრალო, ეს არასოდეს არ გაახელს თვალს... არც იგრძნობს...
დია — ევა ძალიან იჩაგრება.
თეო — ჰო.
დია — თავის უმანკო გულში მარხავს ევა ამ ვაჭის სიცოცხლეს... ეს არ ივარგებს. მკედარა მიწაში უნდა დაიბაროს!
თეო — თბილი სამარე ქვეყანაზე მხოლოდ გულია.
ევა — მეგობრებო, ეს ჩემი საქმროა... მოვიდა ბაგეშეკრული, უმიძრაო და გაფითრებული...
დია — შენ ცნობილობ ამას?... ნუ... სავალალოა ამის საქმროდ მიღება.
ევა — ჭკუას სჯერა, გულსაც სწანს.
დია — ცრემლები დაგაკვირდება... (დუმილია).
თეო — შენ სულ სხვას ნატრობდი, ევა, წის თვალში უნდა დაგეწინახა სამოთხის სული, მაგრამ სული ცაში წასულა და მხოლოდ ვერცხლი და ძვირფასი ქსოვილები მოჰყვა გეამზე... შენ გინდოდა გული გადაგვეცია მხიარულ წალკოტად, მან კი სასაფლაოდ გადაგიკცია გული... და ჩვენ ვიტყობთ შენთან ერთად...
ევა — ეს მკედარია? (აცქერდება).
დია — ჰო!..
ევა — მკედარი ხომ ჭვასავით უსმინარია, უსმინარია!.. (ქვითიწებს მაინც ველაპარაკები... გამიშალეთ თმა... (უშლიან თმას).
დია — დაგუბებული ცრემლი სიამით იღვრება...
ევა — ზამთრის ღამეში მოვალა ჩენთან ციხეში, სადაც სამუდამო პატიმარი ვარ... მოვიდა და ასე დაწვა ჩემ წინ!..

თ ე ო — დაეიგვიანეთ. ხომ ხედავ როგორ დავაკვირებთ...

ე ვ ა — (ჩემი დიდი) დედოფალი ფიქრობს შვილებზე. გული უგრძობ-
ნობს უზღვევრებას. მისი სევდა ამ ქარში ისმის. მე ფე წუხს,
რომ მისი ძე აღმა მოიტაცა და მოკვდა — მე ხომ არ ვარ
აღი და მანვე სული.

თ ე ო — ჩვენ ვინაირებდას შენს იმედებს. გავიზიარებთ შენს სევ-
დასაც... სამრალე ევას... (ჭირას).

ე ვ ა — ეს უბრალოდ უძილო ღამეებშია! (უთხრებს).

ე ვ ა — (ქვეა უკანას) წმინდა და გაფიქრებულ!

თ ე ო — რად გავიზიარებდი დნერთი, დაო!

ე ვ ა — (პროვინს ცხელი) ესლა საით წავიდე. როგორ ვნატავდი
ჩემს იმედებს... სადაც ღამაზე ყუავილს ენახავდი, შევერდინავ-
დი, ვადარებდი ჩემს ოცნებას და არ ვმორიდებოდი, სანამ
ჩემი იმედი ამ ყუავილზე ღამაზე არ შეიქნებოდა!.. მე შენს
შესახედრად ვცხოვრობდი. ჩემს ფიქრს ვიამენდი ტყის
ღუმბილში და, როდესაც ტყის სიჩუმეზე უფრო ღრმად და
დაუხრულებლად წარწმინდებოდა ჩვენი შეხედრის ღუმბი-
ლი, მაშინ მოვითქვამდი სულს და მოვლა დავე ჩენს თვა-
ლებში ღინილი იყო... (სეგრდება) და წმინდა იყო ჩემი სი-
ლოცხე... შენს ნაგირ ღურჯ ცას ვუტკერდი... ღურჯი ცა
შეაღერებოდა და მჯეროდა, რომ ბედიც ისე ვამიცინებს
ქვეყანაზე... მაგრამ ესლა მე შემწელება ამ დახურულ ქუ-
დასაღერებზე ქვეშ მოვნიხობ შენი თვალებში...
(ქვეა თანაში რადაც წმინდაა. და ეს თუ ვეყოლებიან ამ ხმა-
ვრობაზე).

ე ვ ა — საბაველში წარებმა ცინიანი ხელებით გძლიეს საბუნეღში.
(ისინი მეთრე თანაიდან ხმაურობა).

თ ე ო — ჯაჯო იდგა...

ე ვ ა — (შეკრთალი) ჯაჯო!.. მოდის...

ე ვ ა — (ხანაგობა) შენ კართან ქვითინებდი — მე კი ვწეშდებოდი.
სუსტი ვარ... მაგრამ მთელს ქვეყანაზე ისე არავის არ მონ-
დომებია ბედნიერება როგორც შე!.. მაგრამ ესლა ვწეველი
ჩემს გულს, ჩემს ხელებს... და ვწეველი იმ ქარებს...

ე ვ ა — (უბნად) შესწევით ტირალი!..

თ ე ო — ჯაჯო მოდის!..

ე ვ ა — (გაბრუნებული) ა?

თ ე ო — დაგზალოთ მკვდარი!..

ე ვ ა — (ხრწნით, მტყალებლს) შენს მტრე ვინ მოვიდოდა ისე შეწუ-
ხებულო!

ე ვ ა — დავიღებო... არც ვიცით ეს ვინ არის!.. ეს ვტირით...
აქ ჯაჯო... დაეშალოთ...

ე ვ ა — ჩემი ხელები ჩამტყნარ ვარდებოვით ჩამოკვცავდა... როდ-
ესაც ეს ვარდებთან წუხდა, ურტყანდა...

თ ე ო — ვაიგონე! გესწის ფეხის ხმა!

ე ვ ა — ა...

ე ვ ა — (მუხარბე) ვალო ვარდებთანაა.

ე ვ ა — აქ ხე შეიოვას... უთხარით შევრდეს! თქვენს კანკალებში...
ე ვ ა — შევიშაღე!

(ღია და თუ ვეწუხებულ-წმინდული მადის).

ე ვ ა — (ხრწნით ცელება მიცვალებულს) შენ დიდხანს ვირტყამდნე ქა-
რები?! (ცოცხა) ო, გხედავ და ვტყნები... და ვწეველი მთელ
ქვეყანას... იმიტომ, რომ ამ დიდმა ქვეყანამ, მე, პატარას,
მთელი თავის საივე დამიტება.
(მოსახის ჯაჯოს მოხსნა ხმა, კარი იღება).

ე ვ ა — (იფარავ მკვდარს. ძლიერად ვახსახს) გაბრუნდი, არწივის ბრქვა-
ლები მატყეს!..
(ისინი შორეულს საყვარას ხმა. შემოდის და).

ე ვ ა — ქედიდან დაშვარი ეწევა იღბათ, ეს ვაფი დაძვარავით
და საყვარიო ვხმობენ.

ე ვ ა — ჯაჯოს ხმა — კარი დასურუთ სინათლეზე არ მოვავგონი...
ე ვ ა — (გამძინარებელი იტაცებს ბუნრიდან ანაბულ კვარს, პტრიალებს
კარში და ვიფი) ვაი, ცოდვა!.. უბედურება!.. (შეშაღის თუ).

ე ვ ა — ჯაჯოს ხმა — დავიღებო!

ე ვ ა — ამა, ტყის ბერი კოშკიდან ვადავიარდი!..

თ ე ო — ჯაჯოც შენით თავს იკლავს.

ე ვ ა — ვადავიარდი!

ე ვ ა — მოდით დამსაჯეთ, მე დაეღებე მშვენიერი მეფის ძე!..
(პასუხად მოხსნის საყვარისა და დაშვარის ხმა).

ფ ა რ დ ა

1918 წ.